

გაკვეთილი 13

კონფლიქტის შეფასების ინსტრუმენტები

შესწავლის მიზნები :

გაკვეთილის ბოლოს მონაწილეებს შეეძლებათ:

- გამოავლინონ კონფლიქტის შეფასების ექვსი ინსტრუმენტი;
- განსაზღვრონ, თუ რომელი ინსტრუმენტი გამოიყენონ კონფლიქტთან დაკავშირებული ექვსი კითხვის საპასუხოდ.

ეს გაკვეთილი გვადლევს კრებულს, რომლის საშუალებითაც დავინახავთ კონფლიქტის შეფასების ექვს ინსტრუმენტს. ეს ინსტრუმენტები მოიცავენ „სად, ვინ, რატომ, რა, როგორ და როდის“ კითხვებს, რომლებსაც ჟურნალისტები ხშირად იყენებენ რომელიმე შემთხვევის გამოძიების დროს. ილუსტრაციული ინსტრუმენტები და მონაწილეობითი პროცესები, მოცემული ბოლო გაკვეთილში, გვეხმარება გავაუმჯობესოთ კონფლიქტის შეფასების კვლევის ხარისხი.

ეს გაკვეთილი ადაპტირებულია წიგნიდან კონფლიქტის შეფასება და მშვიდობის მშენებლობის დაგეგმვა...57

1. კონფლიქტის შეფასება ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს

კონფლიქტის შეფასების სხვადასხვა ჩარჩო არსებობს. ამ გაკვეთილში შემოთავაზებული ჩარჩო წარმოადგენს სინთეზს იმ ტიპის კითხვებისა, რომლებიც კონფლიქტის შეფასების ჩარჩოთა უმრავლესობაში შეიძლება მოვიძიოთ. არსებობს კითხვათა ექვსი ურთიერთდაკავშირებული ხაზი, რომელიც უკავშირდება კონფლიქტის არსის გაგებას.

სად ხდება კონფლიქტი - რომელ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ კონტექსტში ან სისტემაში?

ვინ არიან დაინტერესებული მხარეები - ადამიანები, ვისაც გააჩნიათ ფსონები ან ინტერესები ამ კონფლიქტში?

რატომ მოქმედებენ დაინტერესებული მხარეები ისე, როგორც მოქმედებენ? რა არის მათი მოტივატორები?

რომელი ფაქტორები აღვივებენ ან არბილებენ კონფლიქტს?

როგორ ვლინდება კონფლიქტი? რა არის დაინტერესებულ მხარეთა ძალაუფლების საშუალებები და წყაროები?

როდის ხდება კონფლიქტი? ნათელია თუ არა კონფლიქტის ისტორიული მაგალითები ან ციკლები?

ამ გაკვეთილის მიზანია, გაგაცნოთ ის ექვსი ძირითადი კითხვა, რომელიც წარმართავს ნებისმიერი კონფლიქტის შეფასებას. არსებობს კონფლიქტის ანალიზის ბევრი ინსტრუმენტი ან როგორც უწოდებენ, კონფლიქტის შეფასების „ხედვები“, რომ დაგვეხმაროს, ვუპასუხოთ თითოეულ კითხვას. ეს გაკვეთილი წარმოგიდგენთ თითოეულ კითხვაზე მხოლოდ ერთ ხედვას, როგორც შესავალს კონფლიქტის შეფასებაში.

2. კონტექსტის პრიზმა: სად ხდება კონფლიქტი?

ყველა რთულ გარემოში არიან „გამყოფები“ და „დამაკავშირებლები.“⁵⁸ „დამაკავშირებლებად“ განიხილება ყველაფერი, რაც აკავშირებს ადამიანებს კონფლიქტის ხაზების გასწვრივ, განსაკუთრებით ის ძალები, რომლებიც პასუხობენ ადამიანთა საჭიროებებს. **გამყოფებად** მოიაზრება დამაბულობები ან ნაპრალები, რომლებიც უკავშირდება იმ ძალებს, რომლებიც ემსახურებიან ადამიანთა გაუცხოებას ან რომლებიც არღვევენ მათ ადამიანურ საჭიროებებს. **გამყოფები თავის თავში მოიცავენ კონფლიქტის წყაროებს ან კონფლიქტში არსებულ პრობლემებს.**

<p>დამაკავშირებელთა სია, ძალები, რაც აკავშირებს ადამიანებს კონფლიქტის ხაზებს გასწვრივ, განსაკუთრებით ის ძალები, რომლებიც პასუხობენ ადამიანთა საჭიროებებს.</p>	<p><i>შეადგინეთ პროგრამები რომლებიც ამცირებს გამყოფთ და ამრავლებს დამაკავშირებლებს ჯგუფებს შორის.</i></p>	<p>გამყოფთა სია, ანუ დამაბულობები და ნაპრალები, რაც აშორებს და ჰყოფს ადამიანებს ან არღვევს მათ ადამიანურ საჭიროებებს.</p>
--	---	--

დიაგრამა 32: დამაკავშირებლებისა და გამყოფების ანალიზის ინსტრუმენტი

ჩარევა უნდა იყოს კონფლიქტებისადმი მგრძობიარე და „არ ავნო“ პრინციპზე დაფუძნებული, რომელიც უნდა ამცირებდეს გაუთვალისწინებელი შედეგების შესაძლებლობას, ან მეორად ეფექტებს, რომლებსაც შეუძლიათ გააღრმავონ ადამიანთა ჯგუფებს შორის გაყოფა და გაზარდონ ძალადობის ალბათობა. ჩარევამ ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოქნილობას და მედეგობას დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის „დამაკავშირებელთა“ გაზრდით. ამ მიდგომის მიზანია, გამოიკვლიოს საზოგადოებაში არსებული „დამაკავშირებლებისა“ და „გამყოფების“ ფართო კონტექსტი. არსებობს „დამაკავშირებლებისა“ და „გამყოფების“ ხუთი კატეგორია.

სისტემები და ინსტიტუტები: სისტემებსა და ინსტიტუტებს, ისევე, როგორც ბაზრებს, ენერგოგადამცემ ხაზებს, წყლის მილებს, ხიდებს, გზებსა და კომუნიკაციის სისტემებს, შეუძლიათ დააკავშირონ ადამიანები კონფლიქტების ხაზებს გასწვრივ. თუმცა, თუ სისტემები და ინსტიტუტები ემსახურება გარკვეულ ადამიანებს და არა სხვებს, მათ შეუძლიათ გაზარდონ დაყოფა ადამიანთა ჯგუფებს შორის. მაგალითად, თუ ნავთობსადენები გადის რომელიმე თემის ტერიტორიაზე, მაგრამ თემი მათგან სარგებელს ვერ ნახულობს, მაშინ ეს ნავთობსადენი წარმოადგენს „გამყოფის“ მაგალითს.

პოზიციები და ქმედებები: გახურებული ომისა და ძალადობის ფონზე კი, ცალკეული პირები გასაოცრად იქცევიან. მაგალითად, კონფლიქტის მოწინააღმდეგე მხარიდან მიტოვებული ბავშვების შეილაღ აყვანა, ან კონფლიქტის ხაზებს მიღმა საფეხბურთო სათემო გუნდების შეხვედრების შენარჩუნება. პოზიციები და ქმედებებს შეუძლიათ იყონ „დამაკავშირებელი“ რომლებიც ეხმარებიან ჯგუფებს დაინახონ კონფლიქტის მეორე მხარეს მყოფთა ჰუმანიზმი. თუმცა, სხვა ადამიანებს შეუძლიათ გამოავლინონ სიძულვილის ქცევა, დაწერონ ასეთივე შინაარსის წარწერები და ნახატები საზოგადოებრივ ადგილებზე, ან შეარქვან შესაბამისი სახელები კონფლიქტის მეორე მხარეს მყოფ ხალხს. პოზიციებსა და ქმედებებს შეუძლიათ ან გაყონ ან შეაკავშირონ ადამიანები.

საზიარო ღირებულებები და ინტერესები: საზიარო რელიგიურ ან ზნეობრივ ღირებულებებს, ისეთებს, როგორც არის რწმენა ბავშვების ან გარემოს დაცვაზე, შეუძლიათ კონფლიქტის გამყოფ ხაზებს ორივე მხარეს მყოფი ადამიანების შეკავშირება. მაგალითად, იუნისეფმა (UNICEF) კონფლიქტის ზონებში მოლაპარაკებებით მიაღწია სიწყნარის დღეს, რომელიც ეფუძნებოდა მეომარი მხარეების მიერ გაზიარებულ ღირებულებას დაავადებების წინააღმდეგ ბავშვების აცრის აუცილებლობაზე.

საერთო გამოცდილება: ომის გამოცდილებას და ზეგავლენას ინდივიდულებზე შეუძლია გამოიწვიოს მათი კავშირები კონფლიქტის ხაზების გასწვრივ. ომის გამოცდილების ციტირებით და იმ ტკივილის განცდით, რომ ეს „არის საერთო ყველა მხარისათვის“, კონფლიქტების ხაზებს გასწვრივ ომით ტრავმირებული ადამიანები ზოგჯერ ახალ ანტი-საომარ ალიანსებს ქმნიან. ამავე დროს, სხვა სიტუაციებში, ომის ტრავმის საერთო გამოცდილებამ შეიძლება ადამიანები გაყოს, რადგანაც ყოველ ცალკეულ ჯგუფს არ ძალუძს ემოციურად იფუნქციოს.

სავარჯიშო დამაკავშირებლებსა და გამყოფებზე

- დახატეთ ზემოთ მოტანილი ცხრილი და გააკეთეთ გამყოფებისა და დამაკავშირებლების სია თქვენს ადგილობრივ კონტექსტში. თუ ზოგერთი ძალა არის როგორც დამაკავშირებელი, ასევე გამყოფი, შეეცადეთ, დააზუსტოთ მათი სტატუსი. მაგალითად, თუ „წყალი“ არის ორივე კატეგორიათა ჩამონათვალში, შეაფასეთ ის როგორც „დამაკავშირებელი“ თუ „გამყოფი“.

სიმბოლოები და შესაძლებლობები: ეროვნული ხელოვნება, მუსიკა, ისტორიული იუბილეები, ეროვნული დღესასწაულის ძეგლები, სპორტული მოვლენები (მაგ. ოლიმპიური თამაშები) შეიძლება გახდეს ხალხთა გამყოფი, წარსულის ტრავმულ მოვლენებზე მეხსიერების ამოტივტივებით და. იმავდროულად, დაახლოვოს ხალხი ან დააკავშიროს ისინი კონფლიქტის ხაზების მიღმა ან, შესაძლებელია, ორივეს კომბინაცია.

3. დაინტერესებულ მხარეთა პრიზმა: ვინ წარმართავს კონფლიქტს და ვინ უჭერს მხარს მშვიდობას?

ამ სახელმძღვანელოს #1 გაკვეთილში აღწერილი იყო დაინტერესებულ მხარეთა გამოკვეთის პროცესი. ეს არის ანალიტიკური ინსტრუმენტის მაგალითი, თუ როგორ მოხდეს ინფორმაციის ორგანიზება მეორე კითხვასთან დაკავშირებით, „ვინ წარმართავს კონფლიქტს და ვინ უჭერს მხარს მშვიდობას? დაინტერესებულ მხარეთა გამოკვეთა, ასევე, მოიცავს ინტერესთა ჯგუფების კატეგორიზაციას მათი მახასიათებლების მიხედვით. ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში ინტერესთა ჯგუფები შეიძლება შეფასდნენ 10 ბალიანი (1-10) შკალით, სადაც 1 არის დაბალი დონე, ხოლო 10 მაღალი დონე.

დაადგინეთ ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტსა და ძალადობას. მიანიჭეთ შესაბამისი ქულა მათ, ვინც ხელს უწყობს ადამიანის უსაფრთხოებას. ზოგიერთი ინტერესთა ჯგუფი ერთდროულად აძლიერებს კონფლიქტს ან ძალადობას, თუმცა, ამავე დროს, ხაზს უსვამს სურვილს, გააუმჯობესოს ადამიანის უსაფრთხოება.

მიანიჭეთ შესაბამისი ქულა ინტერესთა ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ მაღალი ან დაბალი ლეგიტიმაცია სხვა ინტერესთა ჯგუფებთან მიმართებაში და მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო უნარი, ზეგავლენა მოახდინონ ცვლილებაზე.

ქულებით შეაფასეთ დაინტერესებულ მხარეთა ხელშეწყობის უნარი (მათი ექსპერტიზა, დაფინანსება, ადგილზე სიტუაციის ცოდნა, საკომუნიკაციო ენა).

		დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი		
დაინტერესებული მხარეები	ძალადობაზე უარყოფითი გავლენის დონე	ადამიანის უსაფრთხოებაზე დადებითი გავლენის დონე	სხვა ინტერესთა ჯგუფებზე ლეგიტიმურობის დონე და ცვლილებებზე ზეგავლენის უნარი	ხელშეწყობის უნარი და ჩართულობის მზაობა

დიაგრამა 33: დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის დიაგრამის ინსტრუმენტი

მოტივაციის პრიზმა: რატომ არიან მოტივირებულნი საკვანძო მოთამაშეები, რომ წარმართონ ძალადობა ან შეამსუბუქონ კონფლიქტი? ადამიანები კონფლიქტში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთვებიან. ეს მოტივაცია მოიცავს სხვადასხვა მიზეზს არალეგიტიმური მოწადინებიდან უკმაყოფილების ლეგიტიმაციამდე. ხშირად, ადამიანები გადაწყვეტენ, რომ იბრძოლონ და მოკვდნენ, რათა დაიცვან მათი ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებები და ღირსება, პატივისცემა, იდენტობა და ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოება.

დაინტერესებულ მხარეთა გამოკვეთა შეიძლება დაგვეხმაროს, გავანალიზოთ თითოეული ინტერესთა ჯგუფის მოტივაციები, მათ შორის მათი მოთხოვნები, ინტერესები და პოზიციები.


--	--	--	--	--

დიაგრამა 34: დაინტერესებულ მხარეთა მოტივაციის ანალიზის ინსტრუმენტი

ადამიანთა მოტივაციები, ჩაერთონ სამშვიდობო ძალისხმევებში კონფლიქტის შესამსუბუქებლად, ასევე განსხვავებულია. აქ მოტანილი ე.წ. „ხახვის“ დიაგრამა აჩვენებს, რომ მოთხოვნები და ინტერესები, ხშირად, დაფარულია საზოგადოებრივი პოზიციების ქვეშ.

პოზიციები არის ის, რაც ადამიანებს სურთ, თქვან საჯაროდ. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური მოთხოვნა ან პირობები, რომელთა შესრულებისთანავე ისინი შეწყვეტენ ბრძოლას.

ინტერესები არის სურვილები, წუხილები და შიშები, რომლებიც ამომრავებენ ადამიანებს, გამოიმუშავონ საჯარო პოზიცია.



საჭიროებები ცხოვრებისათვის ყველაზე საჭირო ძირითადი მასალაა, სოციალური და კულტურული მოთხოვნები, რომლებიც განაპირობებენ ადამიანთა ქცევას, მათ პოზიციებსა და ინტერესებს.

დიაგრამა 35: „ხახვის ფურცლების“ ანალიზის ინსტრუმენტი

„ხახვის“ პრინციპზე აგებული ანალიზის სავარჯიშო

დახატეთ ინტერესთა ჯგუფთა მოტივაციების ცხრილი ან „ხახვის“ ანალიზის დიაგრამა;

დაადგინეთ საკვანძო ინტერესთა ჯგუფების სია დაინტერესებულ მხარეთა ზემოთ მოტანილი ანალიზის საფუძველზე;

რაში მდგომარეობს პოზიციები, საჭიროებები ან ძირითადი ინტერესები, რომლებიც იწვევენ თითოეული საკვანძო ინტერესთა ჯგუფის მოტივაციას?

საჭიროებების იერარქიაზე არ არსებობს სამხილები 59 (აქ შეგვიძლია გავიხსენოთ მასლოუს პირამიდა ადამიანის მოთხოვნილებებზე). შინაარსმა, შესაძლოა, გამოკვეთოს, თუ რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია. ზოგი ადამიანი, შესაძლოა, მზად არის, გარკვეულწილად დათმოს მისი მოთხოვნილება საკვებზე, მაგრამ არ დათმოს თავისი მოთხოვნა, ადასრულოს საკუთარი რელიგია. სხვები, შესაძლოა, მზად იყვნენ, შეწირონ სიცოცხლე, მაგრამ არა მათი იდენტობა და ღირსება.

ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მზადყოფნა განაპირობებს ადამიანის ქცევას. კონფლიქტი ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები თვლიან, რომ სხვები აზრკოლებენ ან საფრთხეს უქმნიან მათ საჭიროებებსა და უფლებებს. გამომდინარე იქედან, თუ როგორ გრძნობენ თავს მუქარის ქვეშ მყოფი ადამიანები, მათ შეიძლება გაუჩნდეთ ბრძოლის, თვითგანწირვის ან სხვათა დაზარალების სურვილი, საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ადამიანები იბრძვიან, რათა შეინარჩუნონ თავიანთი იდენტობის გრძნობა იმდენად (თუ მეტად არა), რომ მოიპოვონ ძალაუფლება ან რესურსები. მუქარები და სასჯელები არაეფექტურია, რომ შეცვალო ქცევა იმ ადამიანების, რომლებიც ცდილობენ, დაიკმაყოფილონ ის, რასაც ისინი მიიჩნევენ თავიანთ საბაზისო ადამიანურ მოთხოვნილებებად.⁶⁰ მოლაპარაკებების პროცესი ეხმარება ადამიანებს, გამოკვეთონ მათი ძირითადი საჭიროებები და უფლებები, რათა შეიმუშაონ კრეატიული გადაწყვეტილებები.

ადამიანური საჭიროებები და ადამიანის მოთხოვნები მსგავსია. ადამიანებს იმის „უფლება“ აქვთ, რაც მათ „სჭირდებათ“, რაც მოიცავს საკვებს, წყალს, საფარს, განათლებას, ასევე ღირსებასა და სიცოცხლის უფლების პატივისცემას.⁶¹ ადამიანებმა თავიანთი საჭიროებები შესაძლოა, განსხვავებული გზით დაიკმაყოფილონ. ადამიანებს „სჭირდებათ“ და აქვთ უფლება საკვებზე და საფარზე. მათ შეუძლიათ, დაიკავონ პოზიცია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული სახის საკვები ან საფარი. თუმცა პოზიციები არ ნიშნავს უფლებებს.

- *მატერიალური მოთხოვნილებები და უფლებები* მოიცავენ ფიზიკურ უსაფრთხოებას, საკვებს, საფარს, ჯანდაცვას და ფიზიკური გადარჩენისათვის აუცილებელ რესურსებს.
- *სოციალური მოთხოვნილებები და უფლებები* მოიცავენ ღირსების განცდას, პატივისცემას, სხვების მიერ აღიარებას, ჯგუფისადმი კუთვნილებას თანამონაწილეობის განცდით, ასევე თვითგამორკვევას იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე.
- *კულტურული მოთხოვნილებები და უფლებები* მოიცავენ ადამიანის საკუთარი იდენტობის მნიშვნელობის მოძებნას კულტურული და რელიგიური რწმენის მეშვეობით, რომელიც ადამიანებს ეხმარება, ჰქონდეთ სამყაროს განცდა.

ძირითადი უკმაყოფილება ვითარდება იმედგაცრუების ღრმა განცდიდან, რომელიც მომდინარეობს მუდმივი სოციალური მაგალითებიდან, რომლებიც ზღუდავენ ადამიანების მოთხოვნილებებს. უკმაყოფილებები ჩნდება, რადგანაც ადამიანები განიცდიან დისკრიმინაციის ან ელიტარული ჯგუფების სასარგებლოდ გარკვეულ ჯგუფთა ექსკლუზიურობის სოციალური მაგალითების არსებობას. უკმაყოფილობები აყალიბებენ ადამიანების აღქმას, თუ რას მიიჩნევენ ისინი სამართლიანად და სწორად. ზოგჯერ ეს უკმაყოფილება სხვებისათვის არაღვეტიმურად გამოიყურება. ადამიანები განიცდიან სამართლიანობას და მართლმსაჯულებას, როგორც მათი ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მოგების წადილი - ეს ტერმინი ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ ინტერესებს სხვების ხარჯზე იკმაყოფილებენ. მაგალითად, ზოგიერთი შეიარაღებული ჯგუფი იყენებს ძალადობას იმისათვის, რომ წაართვას რესურსები სხვა ჯგუფებს, რომ ამით გაზარდოს საკუთარი სიმდიდრე და დააფინანსოს შემდგომი შეიარაღებული ბრძოლა. ზოგჯერ, ადამიანები საკუთარი საჭიროებების დასაცავად ან დასაკმაყოფილებლად ისე მოქმედებენ, რომ სხვებს აყენებენ ზიანს. მოგების წადილი შეიძლება წარმოიშვას მატერიალური გაჭირვებიდან, ეკონომიკური ინტერესებიდან ან „გათავისებული უპირატესობის“ განცდისგან. ზოგ ადამიანს სჯერა, რომ მისი სიცოცხლე უფრო მეტი ღირს, ვიდრე სხვების და, შესაბამისად, თვლის, რომ მისთვის „სამართლიანია“ სხვებზე მეტი ძალაუფლებისა და რესურსების ფლობა. ეს „გათავისებულობა“ და გამომდინარეობს კულტურული ფასეულობებიდან და ჩამოყალიბებულია ადამიანის საკუთარი და სხვისი იდენტობის განცდიდან. ადამიანების უმეტესობა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც კარგ პიროვნებას, ხოლო თავიანთ მოტივაციებს, როგორც ლეგიტიმურს. ადამიანები მიდრეკილნი არიან, არ განიხილონ თავიანთი ქმედებები, როგორც მომხვეჭელობა. ამის მაგივრად, ისინი ამართლებენ თავიანთ ქმედებებს და წარმოაჩენენ ლეგიტიმური უკმაყოფილების არგუმენტებს.

5. მამოძრავებელი ძალების პრიზმა: რა არის ძალადობის მამოძრავებლები და რა შეიძლება გაკეთდეს მათზე ზემოქმედებისათვის?


ძირითადი მიზეზები წარმოდგენილია ფართო ინსტიტუციური და სტრუქტურული ფაქტორებით, რომლებიც ქმნიან ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია ძალადობრივი კონფლიქტი. მაგალითად, ეკონომიკური უთანასწორობა არის ბევრი ძალადობრივი კონფლიქტის ძირითადი მიზეზი. „კონფლიქტის მამოძრავებლები“ არიან მყისიერი გამაღიზიანებლები რომლებიც ზრდიან ძალადობრივი კონფლიქტის შესაძლებლობას. კლიმატის ცვლილება ან გარემოს პრობლემები, ისეთები, როგორც არის მოსავლის გამანადგურებელი გვალვები, იაფი შეიარაღების ჭარბი მიწოდება ან მოძალადე ექსტრემისტები, რომლებიც იყენებენ რელიგიას თავიანთ რიგებში მოსაზიდად. თითოეული ეს შემთხვევა არის კონფლიქტის მამოძრავებლის მაგალითი.

ბევრ კულტურულ გარემოში არის სხვადასხვა ხის ან ნარგავის სახეობები - კასავას ხე, ჟოლოს ბუჩქი, რომელიც რეგენერირებს მისი წვეროს მოკვეთის შემდეგაც. ეს სხვადასხვა ნარგავი ერთგვარი მეტაფორაა იმის საილუსტრაციოდ, რომ „ფესვებს“ აქვთ რეგენერაციისა და გავრცობის უნარი მათი განადგურების მცდელობის მიუხედავად.

ქვემოთ მოტანილი „ხე“ ამის ილუსტრაციაა. ძირითადი მიზეზების მოგვარების ან აღმოფხვრის გარეშე მხოლოდ ხილული პრობლემების მოგვარების მცდელობას სისტემაზე უმნიშვნელო გავლენა ექნება.

მდგრადი სამშვიდობო პროცესი ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას ან განეიტრალებას მოითხოვს.

დიაგრამა 35 გვიჩვენებს სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას, ასევე მთავრობის კორუმპირებულობას, როგორც ძალადობრივი არჩევნების ძირითად მიზეზს. ხის ტოტები არის ძირითადი მიზეზების სიმპტომები. სწორედ ეს სიმპტომები ასაზრდოებენ და კვებავენ კონფლიქტსა და ძალადობას. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, მივხედოთ კონფლიქტის მამოძრავებლებს, რომლებიც იწვევენ ძალადობრივ არჩევნებს, გახშირებულ დანაშაულებს, ახალგაზრდულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს და ეთნიკურ ნიადაგზე შეტაკებებს. თუმცა, ამ ფაქტორებთან გამკლავებამაც შეიძლება ვერ შეცვალოს ძალადობრივი არჩევნების გამომწვევი საბაზისო სტრუქტურული პირობები ან ძირითადი მიზეზები.



დიაგრამა 36: ხის კენჭეროს პრინციპზე აგებული ანალიზის ინსტრუმენტი

ძალადობრივი კონფლიქტის ხანძართან შედარება კიდევ ერთი მეტაფორაა ძალადობრივი კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს შორის კავშირის გასაგებად. ამ შემთხვევაში, შემა არის ძირითადი მიზეზი, ისეთი, როგორცაა საზოგადოების ერთი ჯგუფის პოლიტიკური გარიყვა. ბენზინი და ასანთი, რაც იწვევს აალებას, არის კონფლიქტის მამოძრავებლები („დრაივერები“), ანუ ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ხანძრის გაჩენას ისევე, როგორც გვალვა, რომელიც ადამიანებისათვის ართულებს მათი ოჯახების გამოკვებას. ხანძრის შედეგად გაჩენილი კვამლი არის ხილული ძალადობა. ზოგიერთი ანალიტიკოსი, მაგალითად, უყურებს მოძალადე ექსტრემისტებს, როგორც „კვამლს“ და არა როგორც „ხანძარს.“ მათი აზრით, პოლიტიკურ მმართველობასა და ეკონომიკურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება არსებითაა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისათვის.

ძირითადი მიზეზებისა და კონფლიქტების მამოძრავებელი ფაქტორების ანალიზისას, ასევე მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს სამოქალაქო პირთა საფრთხეები და მათი მოწყვლადობის მიზეზები. სამოქალაქო პირებს, თავის მხრივ, სჭირდებათ, რომ იყვნენ ნაწილი ყველა იმ პროცესისა, რომელიც მიმართულია ამ რისკებისა და მოწყვლადობის შეფასებაზე.

სად გრძნობენ ადამიანები თავს საფრთხეში? რა დაეხმარება მათ გაუმკლავდნენ ამ მოწყვლად მდგომარეობას? მასობრივი სისასტიკის პრევენცია მოითხოვს „სისასტიკის პრიზმის“ გამოყენებას იმისათვის, რომ გამოვკვეთოთ გარკვეულ ჯგუფთა მასობრივი სისასტიკის მზაობის პოტენციური ნიშნები სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ. კონფლიქტის შეფასებას შეუძლია გამოავლინოს პოტენციური სისასტიკის (სად, ვინ, რატომ, როგორ, რა და როდის) კონტექსტი, დაინტერესებული მხარეები, მოტივაციები, საშუალებები, მეთოდები და დრო. ამ შეფასებას შეუძლია უზრუნველყოს „ადრეული გაფრთხილება“, რომ მწიფდება კრიზისი და ის მოითხოვს პრევენციულ დიპლომატიას ან სხვა ტიპის ჩარევას.

6. ძალაუფლების პრიზმა: როგორ იყენებენ საკვანძო აქტორები ძალაუფლებას კონფლიქტის გაჩაღების ან მასთან გამკლავებისათვის?

ძალაუფლების ბევრი წყარო არსებობს. კონფლიქტში დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერი ამ წყაროს მობილიზება, როგორც სხვებთან საბრძოლველი საშუალება, მათთვის

ძალაუფლების ამ წყაროებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. თუმცა, ადამიანებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ან შექმნან ძალაუფლების ეს წყაროები სამშვიდობო ძალისხმევისათვის.

- ფიზიკური ან სამხედრო ძალა;
- იდენტობა (გენდერი, ეთნიკური კუთვნილება, ოჯახური წარმომავლობა, თანამდებობა ან უფლებამოსილება);
- პიროვნული შესაძლებლობები (კომუნიკაციის უნარები ან პროფესიული კომპეტენცია);
- ეკონომიკური რესურსები;
- ინფორმაცია;
- განათლება (ცოდნა და უნარები);
- მორალური ან სულიერი ძალა;
- პიროვნული ქარიზმის ძალა;
- სოციალური კაპიტალი, მათ შორის კავშირების დამყარების უნარი, სხვებთან ურთიერთობები და მასების მობილიზების უნარი.

სოციალური კაპიტალი გულისხმობს ურთიერთობათა რაოდენობასა და ხარისხს ადამიანებსა და ჯგუფებს შორის. ის ეფუძნება იდეას, რომ სოციალურ ურთიერთკავშირებს აქვთ ღირებულება.

დაბალანსებული და დაუბალანსებელი ძალაუფლება: ხშირად ადამიანებს აქვთ ძალაუფლების განსხვავებული დონე კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ სისტემებში. ადამიანები შეიძლება თავს გრძობდნენ ძალაუფლებაგამოცლილად, თითქოს მათ არ აქვთ ძალაუფლება ან აქვთ ის მცირე მოცულობით, როდესაც მათ ურთულდებათ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენს მათ ცხოვრებაზე. ადამიანები განსაკუთრებით მაშინ გრძობენ თავს დასუსტებულად, როდესაც მათთან არაფერს გადის კონსულტაციას ან ისინი არ არიან ჩართულნი ისეთ სოციალურ პროცესებში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე, როდესაც სხვები აკნინებენ მათ უფლებებს ან უნარებს ჩაერთონ ამ პროცესებში, ან როდესაც ისინი გრძობენ რომ მათ არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ გარეშე სამყაროზე და სიკვდილი გარდუვალია. ხშირია არასწორი აღქმები, თუ ვის გააჩნია „უმეტესი“ ძალაუფლება. ადამიანები მიდრეკილნი არიან გაბრაზდნენ და დაემუქრონ სხვებს, როდესაც მიიჩნევენ, რომ სხვებს მეტი ძალაუფლება აქვთ. შეფასება იმისა, თუ რა ძალაუფლება აქვს თითოეულ დაინტერესებულ მხარეს ზემოქმედების მოახდენისა სხვა დაინტერესებულ მხარეებზე, მოითხოვს მათი ერთმანეთზე დამოკიდებულების ხარისხის ძალიან ჩადრმავებულ ცოდნას. თითოეული დაინტერესებული მხარის ძალაუფლება უკავშირდება იმას, თუ რამდენად არიან სხვები დამოკიდებული მასზე. „A“-ს ძალაუფლება „B“-ზე ტოლფასია იმ დამოკიდებულებისა, რაც „B“-ს გააჩნია „A“-სთან მიმართებაში და პირიქით.

ძალაუფლების ანალიზის სავარჯიშო

1. რა არის დაინტერესებული მხარეების განსხვავებული ძალაუფლების წყაროებისა და მათი სოციალური კაპიტალის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი?
2. კონფლიქტურ სიტუაციაში როგორ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული დაინტერესებული მხარეები? არიან ისინი ურთიერთდამოკიდებულნი, თუ ერთ მხარეს მეტი გავლენა აქვს სხვებზე?
3. რა როლს თამაშობს ძალაუფლება კონფლიქტის დინამიკაში? როგორ იყენებენ დაინტერესებული მხარეები ძალაუფლებას ერთმანეთთან კონფლიქტის წარმართვისათვის?

დომინაცია და კონტროლი ძალაუფლების განაწილების წინააღმდეგ არის ძალაუფლების დესტრუქციული გამოყენება სხვათა ცხოვრებაზე ზეგავლენის მოსახდენად მათი თანხმობის გარეშე. დომინაცია, კონტროლი, დამორჩილება, უგულვებლყოფა, მუქარა და საპირისპირო მუქარა, წარმოადგენს „ძალაუფლებით დათრგუნვის“ სტრატეგიის მაგალითებს. ისინი გვეუბნებიან, „თუ თქვენ არ გააკეთებთ იმას, რაც მე მინდა, მე გავაკეთებ ისეთ რამეს, რაც თქვენ არ გსურთ.“ სხვებზე დომინირების მცდელობები ხშირად ხდება კონფლიქტის მამოძრავებელი. ადამიანთა უმრავლესობას სურს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ამიტომაც, დემოკრატიული მმართველობა განიხილება, როგორც მმართველობის ყველაზე უფრო სტაბილური ფორმა. როდესაც დიქტატორი ან შეიარაღებული ძალა საკუთარ ნებას ახვევს თავს და აკონტროლებს სხვა ადამიანთა ჯგუფებს, ეს ხალხი თითქმის ყოველთვის წინააღმდეგობას უწევს ან ძალისმიერი ამბოხებით ან არაძალადობრივი სოციალური მოძრაობით.

ძალაუფლება სხვებთან არის ძალაუფლების კონსტრუქციული გამოყენების გზა, რომ შექმნა გარემო სხვებთან თანხმობით და მათი მონაწილეობით. პროდუქტიული ძალაუფლება არის ძალაუფლება გააკეთო და შექმნა რაღაცები და ძალაუფლება სხვებთან დაფუძნებულია ურთიერთკავშირების ურთიერთგაცვლაზე, რომელიც გვეუბნება: „თუ შენ აკეთებ ისეთ რამეს, რაც მე მინდა, მე გავაკეთებ ისეთ რამეს რაც შენ გინდა.“ ან ინტეგრაციული ძალაუფლება, რათა შექმნა რაღაც სხვებთან ერთად, ისეთი როგორც „მე გავაკეთებ რაღაცას, რადგანაც მე ვზრუნავ შენს კეთილდღეობაზე.“ ძალაუფლების ეს ფორმები წარმოადგენს კონფლიქტთან გამკლავების საშუალებებს. მდგრადი მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია, როდესაც ადამიანები ერთად მუშაობენ პრობლემების მოსაგვარებლად და აქვთ მიზანი მიაღწიონ „მოგება-მოგების“ გადაწყვეტას, რაც ითვალისწინებს ყველა მხარის ძირითად ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას.

მაგალითად, მთავრობის პოლიტიკური ძალაუფლება საბოლოო ჯამში დამოკიდებულია თავისი მოქალაქეების თანხმობასა და თანამშრომლობაზე. ყველა მთავრობა დამოკიდებულია სხვათა თანამშრომლობაზე, რომ მიიღონ მონაწილეობა და თანხმობა მმართველობის შესახებ. რაც უფრო მეტი მოქალაქე უარყოფს მთავრობის უფლებამოსილებას და ლეგიტიმურობას, მით უფრო ნაკლები ძალაუფლების განხორციელება შეეძლება ამ მთავრობას.

7. დროის შკალას პრიზმა: როდის იყო კონფლიქტი მეტად ან ნაკლებად გამომწვევი წარსულში? იქნება თუ არა კონფლიქტი მეტად ან ნაკლებად გამომწვევი მომავალში?

რთულ გარემოში ადამიანთა ჯგუფებს ხშირად ისტორიის სრულიად განსხვავებული გამოცდილება და აღქმა აქვთ. კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ ისტორიას განსხვავებული ჯგუფები გვაჩვენებს, რომ სხვადასხვა გამოცდილება აყალიბებს ჯგუფთა მსოფლმხედველობებს, რომლებიც იწვევს ისტორიის ინტერპრეტაციას. ყველა ჯგუფს ერთნაირად არ ახსოვს ისტორიული ფაქტები. ზოგი ჯგუფი ფოკუსირებულია მათ მიერ შერჩეულ ტრავმულ ფაქტორებზე, რისგანაც მათი ჯგუფი იტანჯებოდა და შერჩეულ დიდებაზე, როდესაც მათი ჯგუფი დომინირებდა.⁶²

დროის შკალის პრიზმა გვიჩვენებს, თუ როგორ ესმის სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები. დროის პერიოდის, როგორც შეფასებისა და ანალიზის ინსტრუმენტად გამოყენების მიზანი ის კი არ არის, რომ გამოვავლინოთ ისტორიის „სწორი“ და „ობიექტური“ ვერსია, არამედ გავიგოთ ადამიანების მიერ წარსული მოვლენების აღქმა. ადამიანებს, ზოგადად, ახსოვთ ის, რამაც მათზე იმოქმედა და ზეგავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე ან ჩამოაყალიბა მათი მსოფლმხედველობა. კონფლიქტის საპირისპირო მხარეების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ განსხვავებულ მოვლენებს, ისტორიას აღწერენ განსხვავებული ნარატივებით ან ამბებით და მოვლენებს აბამენ მკვეთრად საპირისპირო ემოციებს. სიტუაციის

ხედვის ეს პრიზმა ეხმარება ადამიანებს გაიგონ, თუ როგორ განიხილავენ ისტორიას სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.

კონფლიქტის ისტორიის დროს შკალის შემუშავება საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს გამოკვეთონ კონფლიქტის ის მომენტები, რომლებმაც რომელიმე ჯგუფისთვის შექმნეს „ტრავმის“ ან „დიდების“ განცდა.

„ტრავმა“ არის მოვლენა ან მოვლენათა წყება, რომლებმაც გამოიწვიეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნგრევა და ტკივილი. „დიდება“ არის ისეთი რამ, რის გამოც ჯგუფები ამაყობენ და ეს არის მნიშვნელოვანი ჯგუფისათვის. წარსული მოვლენების ემოციური ზეგავლენის გაანალიზების პროცესი შეიძლება ასევე დაეხმაროს დაპირისპირებული მხარეების ინტერესთა ჯგუფებს მეტი გაიგონ იმ ფსიქოლოგიურ ზეგავლენაზე, რაც კონკრეტულ მოგონებებს შესაძლოა ჰქონდათ სხვა ჯგუფებზე და ისინი შესაძლოა უფრო იყვნენ მზად იმისათვის, რომ შეძლონ ამის აღიარება და ბოდიშის მოხდაც კი.

ამ პრიზმაში განხილვას ასევე შეუძლია გამოკვეთოს სამომავლო პოტენციური „მოწყვლადობის ფანჯრები.“ ასე მაგალითად, თუ არჩევნების დროს ხშირად ხდება ძალადობა, დროის შკალას შეუძლია დროში გამოყოს პოტენციური საფრთხე სამომავლოდ, როდესაც არჩევნები გაიმართება. შეფასების და ანალიზის ამ ინსტრუმენტს ასევე შეუძლია დაადგინოს „შესაძლებლობათა ფანჯარა“, როდესაც შეიძლება გაჩნდეს შესაძლებლობა მშვიდობისათვის, ისეთი როგორც არის საიუბილეო თარიღები ან სპორტული ღონისძიებები, რასაც შეუძლია ხალხი ერთად შეკრიბოს.

დროის შკალის სავარჯიშო

- იდეალურ შემთხვევაში, დროის შკალა შექმნილია დიდი ჯგუფისათვის, რომელიც შედგება კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი წამყვანი დაინტერესებული პირებისგან. ეს პროცესი გვაძლევს საშუალებას ღრმად ჩავიხედოთ იმ სიმბოლურ მნიშვნელობაში, რომლებსაც განსხვავებული ჯგუფები ანიჭებენ მოვლენებს.
- დაყავით ჯგუფი კონფლიქტში მონაწილე სხვადასხვა „მხარის,“ ძირითადი აქტორის, ან იდენტობის ჯგუფის მიხედვით.
- სთხოვეთ ადამიანებს თითოეულ მცირე ჯგუფში გაუზიარონ ერთმანეთს ის ძირითადი მოვლენები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მათი ამჟამინდელი ხედვა კონფლიქტზე. მათ შეუძლიათ დაიწყონ ისტორიის გახსენებით, ასევე მათ შეიძლება სურდეთ დაიწყონ თავიანთი ისტორიის მოყოლით იმაზე, თუ რა მოხდა.
- ქაღალდის ფურცლებზე დაწერეთ მოკლე, სამიდან ხუთ სიტყვამდე, შეჯამება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის, დიდების მომენტის ან ტრავმის მომენტის შესახებ ცალ-ცალკე ფურცლებზე.
- ფასილიტატორი იატაკზე დადებს თოკისგან ან ლენტისგან გაკეთებულ ხაზს, ისტორიის დროის შკალის ასაღნიშნად. ხაზი იდება ქაღალდის ფურცლების გასწვრივ, იმისათვის რომ აღნიშნოს თარიღები დროის შკალის მიხედვით. კონფლიქტის თითოეული მხარე თოკის ხაზის გასწვრივ დადებს კონფლიქტის ისტორიას ქრონოლოგიური მიმდევრობით. ისტორიული თარიღები ისე უნდა იყოს აღნიშნული, რომ ხაზის გასწვრივ თითოეული ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ქრონოლოგია შესაბამისობაში იყოს.
- როდესაც თითოეული დაასრულებს მათი საკვანძო ისტორიული თარიღების დადებას ხაზის გასწვრივ, სთხოვეთ ყველას უხმოდ გაიარონ ხაზის გაწვრივ და წაიკითხონ თუ როგორ ესმის თითოეულს კონფლიქტის ისტორია. ჩაინიშნეთ, როგორ იხსენებს თითოეული მხარე სხვადასხვა მოვლენას და როგორია მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაცია; არის ისინი ტრავმული თუ გამარჯვების მომტანი.
- მას შემდეგ, რაც ყველა დაასრულებს დროის შკალის მდუმარედ დაკვირვებას, მოახდინეთ მცირე ჯგუფების რეკონფიგურაცია და შექმენით იდენტობის განსხვავებული ჯგუფები. სთხოვეთ მათ, გაუზიარონ ერთმანეთს, რა შეამჩნიეს მათ ისეთი, რაც ერთნაირად აღიქვს განსხვავებული აღქმების საპირისპიროდ. დატოვეთ სივრცე ადამიანებისათვის, ერთმანეთს დაუსვან კითხვები მათ განსხვავებულ აღქმებზე.
- დაადგინეთ კონფლიქტის ისტორიაში ის საკვანძო მომენტები, სადაც არსებობს მეხსიერება, რომელსაც ყველა იზიარებს და საკვანძო მომენტები, სადაც არსებობს განსხვავებული მეხსიერება, როდესაც ერთი მხარის ტრავმა შესაძლოა იყოს მეორე

მხარის წარმატება. როგორ შეუძლია ამ მეხსიერებებს შექმნას შესაძლებლობები რომ მოხდეს არსებული კრიზისის ტრანსფორმირება წარსული მოვლენების მეხსიერების შენახვით, აღიარებით ან წარსულის გამო ბოდიშის მოხდით?

მიმოხილვა

ამ გაკვეთილში მოცემულია ექვსი ინსტრუმენტი ან ხედვის პრიზმა, რომლითაც უნდა მოხდეს კონფლიქტის შეფასებისათვის კვლევის წარმოება. ეს ინსტრუმენტები გვეხმარება დავადგინოთ კონკრეტულ კონფლიქტთან დაკავშირებული კითხვებზე (**სად, ვინ, რატომ, რა, როგორ და როდის**) პასუხები.

ციტირებები

Lisa Schirch, *Conflict Assessment and Peacebuilding Planning: Toward a Participatory Approach to Human Security*, (Boulder, Colorado: Lynne Rienner Publishers, 2014).

The "Do No Harm" Framework for Analyzing the Impact of Assistance on Conflict: A Handbook, (Boston, Massachusetts: CDA Collaborative Learning Projects, 2004).

John Burton, *Conflict: Human Needs Theory* (New York: St. Martin's Press, 1990).

James Gilligan, *Preventing Violence* (New York: Thames and Hudson, 2001).

Lisa Schirch, "Linking Human Rights and Conflict Transformation: A Peacebuilding Perspective," in *Human Rights and Conflict: Exploring the Links Between Rights, Law, and Peacebuilding*, edited by Julie Mertus and Jeffrey Helsing (Washington, D.C.: U.S. Institute of Peace Press, 2006), 63–95.

See Vamik D. Volcan, *The Need for Enemies and Allies: From Clinical Practice to International Relationships* (Northvale, N.J.: Jason Aronson Publishers, 1988).

წამყვანობა

10 წუთი

გაკვეთილის დასაწყებად წარმოადგინეთ ამ გაკვეთილის შინაარსი ღია კითხვით: რა არის ხუთი განსხვავებული რამ, რაც უნდა იცოდეთ კონფლიქტზე, მისი გააზრებისთვის?

დამატება

20 წუთი

წარმოადგინეთ პრეზენტაციის (PowerPoint) მასალა ან ჰკითხეთ მონაწილეებს განიხილონ ამ გაკვეთილის საკითხავი მასალა მცირე ჯგუფებში.

გამოყენება

25 წუთი

ამ გაკვეთილის მიზანია პრაქტიკულად გამოიყენონ კონფლიქტის შეფასების ინსტრუმენტები, კონფლიქტის დინამიკის შეცნობის გასაუმჯობესებლად. შექმენით „კვლევითი ჯგუფები“, სადაც იქნება ერთი პირი თითოეული დაინტერესებული მხარის ჯგუფიდან. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს კონფლიქტის შეფასების ერთი ინსტრუმენტი (პრიზმა) და დაიწყოს მისი პრაქტიკაში გამოყენება. მაგალითად, ერთი ჯგუფი გამოიყენებს შეფასების ინსტრუმენტს, რათა ახსნას კონფლიქტთან დაკავშირებული სად, ვინ, რატომ, რა, როგორ და როდის. თუ ჯგუფმა არ გააკეთა სავარჯიშო დაინტერესებული მხარეების გამოკვეთის შესახებ (**იხ. გაკვეთილი 1**), მაშინ ეს დავალება აქ უნდა იყოს ჩართული. თუ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების საკმარისი რაოდენობა არ არის, მაშინ გააუქმეთ შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. თუ ინტერესთა ჯგუფები ძალიან ბევრია, მაშინ ორ ჯგუფს შეუძლია ერთი და იგივე ინსტრუმენტი (ხედვის პრიზმა) გამოიყენოს და შეადაროს მსგავსია ისინი თუ განსხვავებული. თითოეულ გუნდს შეუძლია თავისი შეფასების ინსტრუმენტი წარმოუდგინოს სხვა ჯგუფებს. ამ სავარჯიშოს პოტენციურად შეიძლება დასჭირდეს სრული ერთი საათი ან მეტი. ფასილიტატორებს შეუძლიათ მკაცრად აკონტროლონ გამოყოფილი დრო, ან შეამოკლონ სხვა გაკვეთილი, რომ მეტი დრო გამოყონ ამ გაკვეთილისათვის.

გასვლა

5 წუთი

გაკვეთილის ბოლოს ტრენერს შეუძლია სთხოვოს მონაწილეებს დაიყონ 2-3 წევრიან ჯგუფებად. მონაწილეებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ მათი მოსაზრებები ამ გაკვეთილზე.

გაკვეთილი 14

კონფლიქტის შეფასებიდან დაგეგმარებისკენ

შესწავლის მიზნები:

გაკვეთილის დასარულს მონაწილეებს შეეძლება:

- გამოკვეთონ განსხვავებები სამოქალაქო და სამხედრო დაგეგმარების პროცესებში;
- განსაზღვრონ, როგორ ხდება დაგეგმვის პროცესის ინფორმირება ცვლილებათა თეორიების მიერ;
- დაადგინონ დაგეგმვის ციკლის კომპონენტები.

გაკვეთილი ადარებს და ავლენს კონტრასტებს სამხედრო, საპოლიციო და სამოქალაქო დაგეგმარების პროცესებს შორის. ის წარმოადგენს „ცვლილებათა თეორიების“ კონცეფციას, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „სტრატეგიული ნარატივები“, რომლებიც ახდენს სტრატეგიული ნარატივის დეტალიზაციას, და განმარტავს პროგრამის ან საქმიანობის მიზანს. ეს გაკვეთილი აღწერს ურთიერთკავშირს შეფასებასა და დაგეგმარებას შორის შეფასების ჩატარების სარგებელს იმ კითხვების გამოყენებით, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია დაგეგმვის ფაზასთან.

ეს გაკვეთილი ადაპტირებულია წიგნიდან კონფლიქტის შეფასება და მშვიდობის მშენებლობის დაგეგმვა.⁶³

1. განსხვავებები სამხედრო, პოლიციურ და სამოქალაქო დაგეგმარებებს შორის

სამხედრო და პოლიციური ტიპის დაგეგმვა განსხვავდება მთავრობის სამოქალაქო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ორგანიზაციული კულტურებისგან. ქვემოთ მოტანილი დიაგრამა ზოგადი სახით აჩვენებს დაგეგმარების გარკვეულ სხვაობებს, რომლებიც არსებობს ზოგიერთი სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის. სამხედრო ან პოლიციის უწყებების ფარგლებშიც არის ფართო სახესხვაობები, ზოგიერთ მათგანს უფრო დიდი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე სხვებს. ასევე ფართო სახესხვაობებია მთავრობის სამოქალაქო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის. ზოგს აქვს გაცილებით მეტი რესურსები და მეტნაკლებად გარანტირებული დაფინანსება, ვიდრე სხვებს.

სამოქალაქო მთავრობისა და სამხედროების დაგეგმარება დამოკიდებულია როგორც რესურსების ქონაზე, ასევე ამ რესურსების გამოყენების უფლებამოსილებებზე.

უსაფრთხოების სექტორზე სამოქალაქო ზედამხედველობის დონიდან გამომდინარე, სამოქალაქო ლიდერებმა შეიძლება უთხრან სამხედროებს დაგეგმონ ან არ დაგეგმონ კონკრეტული ოპერაციები/ინტერვენციები.

ზოგადად, სამხედრო, პოლიციურ და სამოქალაქო სამთავრობო უწყებებს ჰყავთ დიდი და საქმის ერთგული დამგეგმავი ჯგუფები, რომლებიც მისდევენ მკაფიო პროცედურებს რთული ოპერაციების დაგეგმვისას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (სსო) იშვიათად ჰყავთ სპეციალურად გამოყოფილი დამგეგმავი პერსონალი. სსო-ს ყველა დონის შემადგენლობას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დაგეგმვაში.

მესამე გამორჩეული ნიშანი ის არის, რომ სამხედრო და პოლიციურ დაგეგმვა მიდრეკილია იერარქიულობისაკენ. უმაღლესი რგოლის სტრატეგიული ხელმძღვანელები იღებენ ინფორმაციას და სადაზვერვო მონაცემებს და იღებენ გადაწყვეტილებას სტრატეგიულ პრიორიტეტებზე და „ძალისხმევის ხაზებზე“. სამხედრო დაგეგმარება მოედინება სტრატეგიულიდან ოპერატიულ დონეზე და შემდეგ ტაქტიკური ფონის დამგეგმავებისკენ. დაგეგმარების თითოეული დონე მოახსენებს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობას. სპექტრის მეორე ბოლოს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციას. დიდ სსო-ებში სათავო ოფისებით, შესაძლებელია იყოს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები და დაგეგმარება იყოს უფრო იერარქიული. თუმცა, მომცრო სსო-ებში ინფორმაცია და დაგეგმარება დიდი ალბათობით ქვედა დონიდან მიდის ზედა დონისკენ, ან დაგეგმარება არის თანხმობაზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც მოიცავს სსო-ს ყველა წევრს ან მათ უმეტესობას.

სამხედრო/პოლიციური დაგეგმვა	მთავრობის სამოქალაქო დაგეგმვა	სამოქალაქო სექტორის დაგეგმვა
მეტად პროგნოზირებადი დაფინანსება -----	დაფინანსება ნაკლებად არაპროგნოზირებადი	დაფინანსება ნაკლებად არაპროგნოზირებადი
სპეციალიზებული დამგეგმავი გუნდი -----	საქმის ერთგული დამგეგმავი გუნდის არარსებობა	საქმის ერთგული დამგეგმავი გუნდის არარსებობა
გადაწყვეტილების იერარქიულად მიღება -----	გადაწყვეტილების დეცენტრალიზებულად მიღება	გადაწყვეტილების დეცენტრალიზებულად მიღება

2. რატომ უნდა დავუკავშიროთ კონფლიქტის შეფასება დაგეგმარებას

საკმაოდ ხშირად კონფლიქტის შეფასება ადეკვატურ ინფორმაციას არ აძლევს დაგეგმარებას. უწყებებში, სადაც დამგეგმავი ჯგუფები ცალკეა, ამ ჯგუფებმა შესაძლოა ძალიან ცოტა იცოდნენ სპეციფიკური კონტექსტის შესახებ. დაგეგმარება უნდა მოიცავდეს თვითშეფასებას, კონფლიქტის შეფასებას, ცვლილებათა თეორიების იდენტიფიცირებას, პროგრამების შედგენასა და დაგეგმვას, მათი მონიტორინგსა და შეფასებას. თეორიაში, კონფლიქტის შეფასების პროცესი ახდენს იდეების გენერირებას, რომლებიც გვეხმარება იმის დაგეგმვაში, თუ რა გავაკეთოთ კონფლიქტთან მიმართებაში. კონფლიქტის შეფასებას შეუძლია დაგვეხმაროს დავადგინოთ ვინ და რა არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც წარმართავენ ან ამსუბუქებენ კონფლიქტს. როგორც **გაკვეთილ #12-ში** არის აღნიშნული, დაგეგმარება უნდა შემუშავდეს კვლევაზე დაფუძნებული ანალიზით და არა გადაუმოწმებელი ვარაუდებით.

თუ მთავრობის ხელმძღვანელები თვლიან, რომ არსებობს ბოროტი მტერი, რომელიც მხოლოდ ძალადობრივი მუქარით შეიძლება შეაჩერო, კონფლიქტის შესახებ ეს ვარაუდი ჩამოაყალიბებს მოქმედების მანდატს პოლიციისა და სამხედროებისათვის. თუ სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები თვლიან, რომ მთავრობის კორუფცია წარმართავს ძალადობას არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან, ამას ახლავს ვარაუდების სრულიად განსხვავებული წყება იმაზე, თუ როგორ ვუპასუხოთ ძალადობას. კონფლიქტის მამოძრავებელი და შემაკავშირებელი ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაპირისპირო ვარაუდებთან მიგვიყვანოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ადამიანის უსაფრთხოება. ქვემოთ მოტანილია მაგალითები, თუ როგორ შეუძლია კონფლიქტის შეფასების შედეგებს ჩამოაყალიბოს დაგეგმარება.

თუ დოვლათის არათანაბარი განაწილება იწვევს კონფლიქტს, შეიძლება წარმოიშვას საჭიროება განვითარების ძალისხმევისათვის, რომელიც ხელს შეუწყობდა მარგინალიზებულ მოსახლეობას ან დაიწყებდა თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობების პოლიტიკის ადვოკატირებას.

თუ რელიგიურ მოღვაწეებს შეუძლიათ შეარბილონ კონფლიქტი, მათი ძალისხმევის გასაფართოებლად რელიგიათმორისი განათლება, შერიგების ვორქშოპები და დიალოგები შეიძლება იყონ შესაფერისი სამშვიდობო ძალისხმევა.

თუ სამხედრო რეიდები და სახლების ჩხრეკა იწვევს კონფლიქტს, სამხედრო სტრატეგიის ცვლილებაზე მიმართული ადვოკატირება შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი სამშვიდობო ძალისხმევა.

თუ პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლები რეპრესიული და კორუმპირებული ელიტების კლასის მიერ იწვევს კონფლიქტს, სამოქალაქო საზოგადოების მოძრაობა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დემოკრატიის მხარდასაჭერად.

თუ ქალთა ბაზრები ამსუბუქებს კონფლიქტს ეთნიკურ ჯგუფებს შორის, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ქალთა ხმების გაძლიერება.

კონფლიქტთან მიმართებაში მოქმედებების დაგეგმვა, იმის ცოდნის გარეშე თუ ვინ და რა ამომრავებს და ამსუბუქებს კონფლიქტს, იმის დაგეგმვა რა თუ მოიმოქმედო ასახავს მიკერძოებულობას და შეზღუდულ აღქმას იმ ჯგუფისა, ვინც დაგეგმარებას ახორციელებს.

3. კონფლიქტის შეფასება თვითშეფასებას ეფუძნება.

თვითშეფასება არის პროცესი, როდესაც ხდება კონფლიქტის შესახებ მავანის კულტურული მიკერძოებების, პერსპექტივების, ინტერესების და ვარაუდების დადგენა და შემდეგ მისი რესურსების, უნარებისა და ურთიერთკავშირების გამოვლენა, რათა მოხდეს დაგეგმვის პრიორიტეტიზაცია თუ რა არის შესაძლებელი და პრაგმატული. ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არ ვართ იმაში რაც გვგონია რომ ვიცით? გაცნობიერებული გვაქვს ის, რაც არ ვიცით? რისი უფრო გვეშინია უმოქმედობის, თუ შეცდომების დაშვების, რომლებსაც შედეგად თანმხლები ეფექტი ახლავს? როგორ ვახდენთ ჩვენი მოსაზრებების/ვარაუდების არტიკულაციასა და მოსინჯვას იმის შესახებ, თუ რა ამომრავებს კონფლიქტს და როგორ ვხედავთ ჩვენს ცვლილებათა თეორიებს კონფლიქტის შესამცირებლად? როგორ უზრუნველყოფთ იმას, რომ ჩვენ ვემბთ პრობლემებს, რომლებიც შეესატყვისება გადაწყვეტას, იმას, რაც უკვე ჩვენთვის ხელმისაწვდომია და შეგვიძლია შევთავაზოთ?

4. "ცვლილებათა თეორიები" ან „სტრატეგიული ნარატივები“ ეხება ძალისხმევის ლოგიკას.

ორგანიზაციები მუშაობენ საკუთარი იდეების მიხედვით იმ ტიპის გამოწვევებზე, რომლებსაც ისინი უმკლავდებიან. სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობები სულ უფრო მეტად იყენებენ კონფლიქტის შეფასების კვლევის პროცესს უსაფრთხოებისათვის არსებული გამოწვევების დასადგენად, რომელიც მოიცავს ძირითად მიზეზებს და ძალადობის მამომრავებელ ფაქტორებს. ჯერაც, კონფლიქტის შეფასების მსგავსი სისტემების გამოყენებისას, ჯგუფებს განსხვავებულად ესმით უსაფრთხოების მიმართ არსებული გამოწვევები.

რას წარმოადგენს „ცვლილებათა თეორიები“?

„ცვლილებათა თეორია“ არის განაცხადი - სტრატეგიული ნარატივი იმის შესახებ, თუ როგორ გავუმკლავდეთ კონკრეტულ გამოწვევას. ყველა ორგანიზაციას გააჩნია ღია ან ფარული ცვლილებათა თეორია, რომელიც აცხადებს, თუ როგორ შეძლებს გარკვეული ტიპის სტრატეგია ან ჩარევა გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რომლებსაც ისინი გამოკვეთენ.

ცვლილებათა თეორიები სამი ნაწილისაგან შედგება. ცვლილებათა თეორია იმაზეა, თუ როგორ შეიძლება ჩარევის გეგმით შეიცვალოს კონფლიქტის შეფასებისას გამოვლენილი გარკვეული მამომრავებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორები იმისათვის, რომ ზეგავლენას მივაღწიოთ.

კონფლიქტის შეფასება:
კონფლიქტის მამომრავლებისა
ან შემარბილებლების კვლევა.



ჩარევის გეგმა:
როგორ გაუმკლავდება ჩარევა
კონფლიქტის მამომრავლებს
და შემარბილებლებს



ზეგავლენა
კონფლიქტის მამომრავლებსა
და შემამსუბუქებლებზე ჩარევის
ზეგავლენის ჰიპოთეზა

დიაგრამა 37: ცვლილებათა თეორიის კომპონენტები

5. ინტეგრირებული პროგრამირება

კონფლიქტებს და ძალადობას ამომრავებს ერთზე მეტი ფაქტორი ან მიზეზი. იდეალურ ვარიანტში, დამგეგმავებს შეუძლიათ შეიმუშაონ პროგრამირება, რომელიც მომართულია ერთზე მეტი ფაქტორის გამოსწორებისაკენ. ინტეგრირებული დაგეგმარება ადგენს ისეთ პროგრამებს, რომლებიც ზეგავლენას მოახდენენ ძალადობის მამომრავებელ ერთზე მეტ ფაქტორზე. ზოგჯერ ეს მოიხსენიება, როგორც „ერთი გასროლით ორი ჩიტის მოკვლა.“ მაგალითად, თუ უმუშევრობა, მთავრობაში არსებული კორუფცია და იარაღთან იოლი წვდომა წარმოადგენს კონფლიქტის მამომრავებელ სამ ფაქტორს, ინტეგრირებულმა პროგრამირებამ უნდა დაატრენინგოს და დაიქირავოს ადამიანები, რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ მთავრობის კორუფციას და მოახდენენ იარაღის საცავების/სამალავების დოკუმენტირებას.

6. კონფლიქტის შეფასებიდან დაგეგმვაზე გადასვლის პრინციპები

დარწმუნდით, რომ კონფლიქტის შეფასების კვლევის კატეგორიები უშუალოდ იძლეოდეს დაგეგმვის პროცესისათვის საჭირო ინფორმაციას.. მომდევნო გვერდზე მოცემული დიაგრამა ახდენს ამ პრინციპის ილუსტრირებას. ამ ჩარჩოს მარცხენა სვეტში მოტანილი კითხვები ქმნის ერთგვარ უწყვეტობას თვითშეფასებიდან (იხ. გაკვეთილი #4) დაგეგმვამდე კონფლიქტის შეფასების მეშვეობით. ამ ერთი და იგივე კონცეპტუალური ჩარჩოების მუდმივი გამოყენება აიოლებს ყოველ კატეგორიაზე გადასვლას.

გამოავილენთ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცვლილებათა თეორიები.. იყავით მკაფიო იმის დასახელებაში, თუ რა გავლენას ახდენს თქვენი ცვლილებათა თეორია თქვენს პროგრამირებასა და/ან ჩარევაზე.

დაადგინეთ SMART (specific - კონკრეტული, measurable-გაზომვადი, attainable-მიღწევადი, realistic-რეალისტური and timely-დროული) მიზნები.

დაგეგმვა მოითხოვს იმის გადაწყვეტას, თუ ვისთან ერთად იმუშავებთ, რას გააკეთებთ და სად და როდის გააკეთებთ ამას. საბოლოო ჯამში, თუ ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც მოწადინებულია გააუმჯობესოს ადამიანის უსაფრთხოება, ერთმანეთთან კოორდინაციაში იქნება შეფასებისა და დაგეგმვის ამ ეტაპების მეშვეობით, მათი ძალისხმევის მრავალფეროვნება მაღალი ალბათობით იქნება სინქრონიზებული და დაბალანსებული.

7. ჯიბის გზამკვლევი კონფლიქტის შეფასებიდან დაგეგმვაზე გადასვლისათვის

	თვითშეფასება	კონფლიქტის შეფასება	ცვლილებათა თეორია	დაგეგმვა
სად	რამდენად კარგად გესმით ადგილობრივი კონტექსტი, ენა, კულტურები, რელიგიები და ა.შ. იმ ადგილისა, სადაც თქვენ იმუშავებთ?	სად ხდება კონფლიქტი-როგორ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ კონტექსტში ან სისტემაში?	თუ კონტექსტის „x“ კომპონენტები წარმოადგენს კონფლიქტისა და უთანხმოების ფესვებს ან მედეგობისა და ადამიანებს შორის კავშირების საფუძველს, მაშინ რა მოახდენს გავლენას ამ ფაქტორებზე?	როგორი იქნება კონტექსტის და თქვენი ძალისხმევის ურთიერთქმედება? თქვენი თვითშეფასებიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ იმ ელემენტებზე გავლენის მოხდენის უნარი, რომლებიც წარმართავენ კონფლიქტს, რათა ხელი შეუწყოთ ინსტიტუციურ და კულტურულ მდგრადობას.
ვინ	სად ხართ თქვენ ინტერესთა ჯგუფების რუკაზე? სად გაქვთ თქვენ სოციალური კაპიტალი? რომელ საკვანძო	ვინ არიან დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც აქვთ ფსონი ან ინტერესი კონფლიქტში;	თუ „x“ ინდივიდი ან ჯგუფი წარმართავს ან უმკლავდება კონფლიქტს, მაშინ რა ქმედება უზიძღვრებს მათ	ვინ ვისთან მუშაობს? თქვენი თვითშეფასებიდან გამომდინარე, გადაწყვიტეთ ვისთან იმუშავებთ, რომ გააუმჯობესოთ ურთიერთობა საკვანძო ინტერესთა ჯგუფებთან ან მხარი დაუჭიროთ ძირითად

	აქტორებთან გაქვთ ურთიერთობა?		შეიცვალონ?	აქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ სამშვიდობო როლი საკვანძო ინტერესთა ჯგუფებს შორის;
რატომ	როგორ აღიქვამენ ინტერესთა ჯგუფები თქვენს მოტივაციებს	რატომ მოქმედებენ ინტერესთა ჯგუფები ისე, როგორც მოქმედებენ? რა არის მათი მოტივატორები?	თუ “x” ჯგუფი მოტივირებულია წარმართოს ან შეამსუბუქოს კონფლიქტი, რა შეცვლის ან წახალისებს მათ მოტივაციებს?	რატომ იმუშავებთ ? თქვენი მოტივაციების თვითშეფასებიდან გამომდინარე და იქიდან, თუ როგორ აღიქვამენ დაინტერესებული მხარეები თქვენს მოტივაციებს, დაადგინეთ როგორ ესადაგება ეს ძირითადი აქტორების მოტივაციებს. რა არის თქვენი მიზანი?
რა	რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ გაუმკლავდეთ კონფლიქტის ძირითად წარმართველებს, შემამსუბუქებლებს?	რა ფაქტორები წარმართავენ ან ამსუბუქებენ კონფლიქტს?	თუ ძალაუფლების „x“ წყაროები წარმართავენ ან ამსუბუქებენ კონფლიქტს, რა ქმედებები მოახდენს ზეგავლენას ამ ფაქტორებზე?	რას გააკეთებთ? თქვენი თვითშეფასებიდან გამომდინარე, გამოავლინეთ კონფლიქტის რომელ გამომწვევ და შემამსუბუქებელ ფაქტორებზე გაამახვილებთ ყურადღებას?
როგორ	რა არის თქვენი ძალაუფლების რესურსები, საშუალებები და წყაროები? როგორ ჩამოაყალიბებენ ისინი თქვენს ძალისხმევას?	როგორ ვლინდება კონფლიქტი? რა არის დაინტერესებულ მხარეთა ძალაუფლების წყაროები და საშუალებები?	თუ ძალაუფლების “x” წყაროები წარმართავენ კონფლიქტს, რა ახდენს ზეგავლენას ძალაუფლების ამ წყაროებზე?	როგორ გადაადგილებთ ძალაუფლების წყაროებს მშვიდობის მხარდასაჭერად? თქვენი თვითშეფასებიდან გამომდინარე, დაადგინეთ და პრიორიტეტების მიხედვით დაალაგეთ თქვენი უნარები შეამცირეთ გამთიშველი ფაქტორები და გაზარდოთ მშვიდობის ადგილობრივი შესაძლებლობები;
როდის	გაქვთ თუ არა მოწყვლადობისა და შესაძლებლობების ფანჯრებზე სწრაფი რეაგირების უნარი?	აშკარა არის თუ არა კონფლიქტის ისტორიული მაგალითები და ციკლები?	თუ “x” დროები იყო ძალადობის ან მშვიდობის ხელშემწყობი, რა მოახდენს გავლენას ამ დროებზე?	რომელია საუკეთესო დრო თქვენი სამშვიდობო ძალისხმევისათვის? ისტორიული მაგალითებიდან გამომდინარე, შესაძლებლობების ფანჯარათა ვარიანტები, პოტენციური ტრიგერები და ტენდენციები სამომავლო სცენარებისათვის.

განხილვა

ამ გაკვეთილმა შეადარა და აჩვენა განსხვავებები სამხედრო, პოლიციურ და სამოქალაქო დაგეგმვის პროცესებს შორის. მან წარმოადგინა „ცვლილებათა თეორიების“ კონცეფცია და ურთიერთკავშირი შეფასებასა და დაგეგმვას შორის და განსაკუთრებულად გამოყო შეფასების ჩატარების სარგებლიანობა იმ კითხვების ჩამონათვალით, რომელიც პირდაპირ უკავშირდება დაგეგმვის ფაზას.

ციტირებები

Lisa Schirch, *Conflict Assessment and Peacebuilding Planning: Toward a Participatory Approach to Human Security*, (Boulder, Colorado: Lynne Rienner Publishers, 2014).

წამყვანობა

10 წუთი

ღია კითხვით დაიწყეთ ამ გაკვეთილის შინაარსი. მონაწილეებს შეუძლიათ გაუზიარონ კითხვაზე პასუხები ერთმანეთს ორ ან სამ კაციან ჯგუფებში.

რა სახით რეაგირებთ ყველაზე ხშირად კონფლიქტზე? უკან იხევთ, ბრაზდებით თუ ცდილობთ მოლაპარაკებას? იყენებთ თუ არა სხვა მეთოდს, სიტუაციის შესაცვლელად? რამდენად აყალიბებს თქვენი პიროვნული შეხედულება კონფლიქტზე იმ ხედვას, თუ როგორ უნდა უპასუხოთ კონფლიქტს ან ძალადობას თქვენმა ორგანიზაციამ ან თუნდაც თქვენმა საზოგადოებამ?

დამატება

20 წუთი

წარმოადგინეთ (Power point) სლაიდები ან სთხოვეთ მონაწილეებს განიხილონ გაკვეთილის წასაკითხი მასალა მცირე ჯგუფებში.

გამოყენება

25 წუთი

ამ სავარჯიშოს მიზანია, რომ კონფლიქტის შეფასების ანგარიშის გამოყენებით პრაქტიკაში შეიმუშავონ ცვლილებათა თეორიები, დაგეგმონ პროგრამები და ძალისხმევები. თითოეულმა კვლევითმა გუნდმა უნდა დაადგინოს „ცვლილებათა თეორია“, რომელიც ეფუძნება მათ მიერ კონფლიქტის შეფასებას. კერძოდ, როგორ გადაითარგმნება კონფლიქტის შეფასებისას იდენტიფიცირებული ძალადობის სამი წარმმართველი ან ძირითადი მიზეზი ჰიპოთეზაში იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის ჩარევას შეუძლია მიხედოს კონფლიქტის მამოძრავებელ ერთ ან მეტ კომპონენტს. თითოეულმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს მისეული ცვლილებათა თეორია და სიტუაციაში ჩარევის მონახაზი, რომელიც მომდინარეობს კონფლიქტის მათეული შეფასებიდან.

დიდ ჯგუფში ჩაატარეთ გამოკითხვა, ხმის მიცემით რომელი ჯგუფის მიერ შემუშავებული ცვლილებათა თეორია და სიტუაციაში ჩარევის სქემა შეცვლის ძალადობის ძირითად მიზეზებსა და მამოძრავებლებს ყველაზე დიდი ალბათობით. იმ ჯგუფებს, რომლებიც შექმნიან ჩარევის მონახაზს, რომელიც გაითვალისწინებს ძალადობის ერთზე მეტ მამოძრავებელს ან გამომწვევ მიზეზს ერთი პროგრამის მეშვეობით, მიენიჭებათ დამატებითი ქულები „ინტეგრირებული პროგრამირების“ შექმნისათვის.

გასვლა

5 წუთი

გაკვეთილის ბოლოს, ტრენერს შეუძლია სთხოვოს მონაწილეებს დაიყონ 2-3 წევრიან ჯგუფებად. მონაწილეებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ მათი მოსაზრებები ამ გაკვეთილზე.